მიღებულია 2020 წლის 20 იანვარს
საერთო კრების ოქმის საფუძველზე

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

საქართველოს კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპიის საზოგადოება

წესდება

თბილისი
2020

§1. სახელწოდება, ადგილმდებარეობა

(1) **საზოგადოების** სახელწოდებაა:
სრულად ქართულად: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი **"საქართველოს კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპიის საზოგადოება".**

(2) **"საქართველოს კოგნიტურ - ბიჰევიორული თერაპიის საზოგადოება"** არის არასამეწარმეო იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა, და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად.

(3) საზოგადოება წარმოადგენს იურიდიულ პირს, აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, მრგვალი ბეჭედი, შტამპი, ემბლემა, სიმბოლო, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში (მათ შორის სავალუტოც), როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.

(4) საზოგადოება ფლობს განკერძოებულ ქონებას, უფლებამოსილია განახორციელოს საკუთარი ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები და მოვალეობები, დადოს ხელშეკრულებები, გამოვიდეს მოსარჩლედ და მოპასუხედ სასამართლოში.

(5) საზოგადოება იურიდიული პირის უფლებებს იძენს კანონით დადგენილი წესით, წესდების რეგისტრაციის მომენტიდან. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

(6) საზოგადოებას უფლება აქვს დააფუძნოს ფილიალები, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, რომლებიც იურიდიულ პირებს არ წარმოადგენენ და საქმიანობას ეწევიან იურიდიული პირის მიერ დამტკიცებული აქტის საფუძველზე.

(7) საზოგადოებას უფლება აქვს გაწევრიანდეს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში.

(8) საზოგადოება პასუხს აგებს თავის ვალდებულებებზე მის განკარგულებაში არსებული ქონების ფარგლებში.

(9) საზოგადოების ადგილსამყოფელია:
საქართველო, ქ. თბილისი, ა. შანიძის 22, ბ. 5. ელფოსტა: გეოცბტ გმაილ.ცომ

§2. საზოგადოების დამფუძნებლები

საზოგადოების დამფუძნებლები არიან:

არჩილ ბეგიაშვილი	დაბ. 03.02.1958	მცხ. ა. შანიძის 22	პირადი №01017020301
ნათია ბადრიშვილი	დაბ. 06.06.1975	მცხ. დიდუბის 22	პირადი №01007004764
ქეთევან აბდუშელიშვილი	დაბ. 06.06.1965	მცხ. ი. ხვიჩიას 16	პირადი №01024024954

§3. საზოგადოების მიზნები, ამოცანები და საქმიანობის ფორმები

(1) საზოგადოების **მიზანია** საქართველოში კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპიის (კბთ) დანერგვა/გავრცელება. აქედან გამომდინარე, საზოგადოების მიზნებია:
ა) საქართველოში კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპიის განვითარების ხელშეწყობა;
ბ) ფსიქიკური ჯანმრთელობის სფეროში მიმდინარე რეფორმებში აქტიური მონაწილეობის მიღება და ფსიქიკური ჯანმრთელობის დარგში კბთ-ს დამკვიდრება/ლობირება;
გ) ფსიქოთერაპიული საქმანობის ლეგიტიმაციის ხელშეწყობა;

(2) საზოგადოების **ამოცანებია**:
ა)კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპიით დაინტერესებულ ფსიქიკური ჯანმრთელობის პროფესიონალთა შორის ინფორმაციის გავრცელება;
გ) კოგნიტურ-ბიჰევიორული თერაპიის ლობირება;

დ) „კანონი ფსიქოთერაპიის შესახებ‘ მიღება;

(3) ამოცანების გადასაჭრელად საჭიროა შემდეგი **საქმიანობები**:

ა) საზოგადოების წევრების მიერ საჭირო ლიტერატურის მოპოვება-დამუშავება და გავრცელება. ქართულ ენაზე სახელმძღვანელოების და სასწავლო ვიდეოფილ-მების შემუშავება;

ბ) კონფერენციების, სემინარების, ტრენინგების ჩატარება;

გ) საერთაშორისო კოგნიტურ-ბიჰევიორული თერთეპიის საზოგადოებებში ინტეგრირება;

დ) კანონის „კანონი ფსიქოთერაპიის შესახებ“ და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების შემუშავება და ლობირება;

(4) საზოგადოებას უფლება აქვს განახორციელოს სხვა საქმიანობა, რაც არ არის აკრძალული მოქმედი კანონმდებლობით.

§4. საზოგადოების წევრობა

(1) საზოგადოებას ჰყავს ნამდვილი და საპატიო წევრები (შემდგომში – საზოგადოების წევრები).

(2) საზოგადოების ნამდვილი წევრი შეიძლება გახდეს პირი, რომელიც აღიარებს წინამდებარე წესდებას, იზიარებს საზოგადოების დეკლარირებულ მიზნებს და მონაწილეობას მიიღებს ასოციაციის საქმიანობაში. ნამდვილი წევრი სარგებლობს ხმის მიცემის უფლებით.

(3) საზოგადოების ნამდვილ წევრად მიღებაზე გადაწყვეტილებას იღებს გამგეობა და საზოგადოების საერთო კრება.

(4) საზოგადოების ინდივიდუალური წევრი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე, უცხოელი მოქალაქე, ან მოქალაქეობის არმქონე პირი, სქესის, ასაკის, ეროვნების, სარწმუნოების, სოციალური მდგომარეობისა და პოლიტიკური ორიენტაციის მიუხედავად, რომელიც იზიარებს საზოგადოების მიზნებს, მონაწილეობას ღებულობს მის საქმიანობაში, იცავს საზოგადოების წესდებით გათვალისწინებულ ნორმებს და იხდის საწევრო შესატანებს.

(5) საზოგადოებაში ნებაყოფლობით საწყისებზე შედიან ცალკეული სოციალური ჯგუფები, რომლებიც გამოხატავენ და იცავენ მათ უფლებებს. საზოგადოების კოლექტიური წევრი შეიძლება იყოს ნებისმიერი იურიდიული პირი (როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის), რომელიც დაიცავს წესდებით გათვალისწინებულ პრინციპებს, გადაიხდის სარეგისტრაციო და საწევრო შესატანებს.

(6) საზოგადოების ინდივიდუალურ და კოლექტიურ წევრებს მიეცემათ მოწმობები.

(7) საზოგადოების ყოველ წევრს უფლება აქვს გავიდეს საზოგადოებიდან არაუადრეს 3 თვისა მისი წევრად მიღებიდან. თუ გასვლის მიზეზი საპატიოა, მაშინ აღნიშნული ვადა არ მოქმედებს.

(8) საზოგადოების საპატიო წევრად შეიძლება მიღებულ იქნას ნებისმიერი პირი, რომელსაც განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის საზოგადოების ძირითადი მიზნების განხორციელებაში, აქტიურად თანამშრომლობს საზოგადოებასთან, ან რაიმე სხვა ფორმით ემსახურება საზოგადოების ძირითადი მიზნების განხორციელებას. საზოგადოების საპატიო წევრზე არ ვრცელდება საზოგადოების ნამდვილი წევრისათვის ამ წესდებით დადგენილი უფლება-მოვალეობანი და მას არ აქვს ხმის მიცემის უფლება.

(9) საზოგადოების წევრად მიღება ხდება საზოგადოების გამგეობის სახელზე მსურველის წერილობითი განცხადების და სააპლიკაციო ფორმის შევსების საფუძველზე. წევრად მიღების საკითხი განიხილება გამგეობის მიერ განცხადების მიღებიდან 1 კვირის ვადაში.

(10) საზოგადოების წევრობის გადაცემა სხვა პირისათვის ან მისი მემკვიდრეობით გადასვლა არ შეიძლება.

(11) საზოგადოებიდან წევრის ნებაყოფლობითი გასვლა ხდება გამგეობაში წერილობითი განცხადების შეტანიდან ერთი თვის შემდეგ.

(12) საზოგადოების წევრობიდან გამოსვლა ხდება:

ა) წევრის გარდაცვალების შემთხვევაში;

ბ) ნებაყოფილებით გამოსვლის შემთხვევაში;

გ) გარიცხვის შემთხვევაში;

(14) საზოგადოების წევრი გარიცხულ იქნება საზოგადოების წევრობიდან თუ, მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება საზოგადოების მიზნებს და ლახავს საზოგადოების სახელსა და ღირსებას, აგრეთვე – ქვემოთ მითითებული შემდეგი საფუძვლების არსებობისას:

ა) საზოგადოების ინტერესების უხეშად დარღვევის შემთხვევაში;

ბ) თუ იგი რეგულარულად არ იხდის საწევრო შესატანს;

გ) კანონითა და წესდებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

დ) წევრის გარიცხვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს გამგეობა და საზოგადოების საერთო კრება. გარიცხულ წევრს უფლება აქვს გარიცხვა გაასაჩივროს სასამართლოში.

ე) საზოგადოების დამფუძნებელი და შემდგომი წევრები სარგებლობენ თანაბარი უფლებებით;

§5. საზოგადოების წევრის უფლებები და მოვალეობები

(1) საზოგადოების წევრს უფლება აქვს:

ა) მიიღოს მონაწილეობა საზოგადოების საერთო კრების მუშაობაში;

ბ) მიიღოს ის მომსახურება, რასაც ახორციელებს საზოგადოება;

გ) არჩეულ იქნას საზოგადოების მართვის ორგანოებში;

დ) კვალიფიკაციის და შესაძლებლობების შესაბამისად მონაწილეობდეს საზოგადოების პროგრამებსა და პროექტებში, მათ შემუშავებასა და განხილვაში;

ე) გამგეობასთან შეთანხმებით მიიღოს საზოგადოებაში არსებული ყოველგვარი ინფორმაცია და ასევე ინფორმაცია საზოგადოების ხელმძღვანელი ორგანოებისაგან მათი საქმიანობის შესახებ;

ვ) გამგეობასთან შეთანხმებით ისარგებლოს საზოგადოების ემბლემით, საზოგადოების ხელთ არსებული ინფორმაციით და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით;

ზ) დაესწროს გამგეობის ღია სხდომებს;

თ) შეიტანოს წინადადებები და რეკომენდაციები საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებით;

ი) თხოვოს საზოგადოებას დახმარება დაიცვას მისი ის უფლებები და კანონიერი ინტერესები, რომლებიც საზოგადოების საწესდებო საქმიანობას განეკუთვნება;

კ) თავისი სურვილით წესდებით გათვალისწინებული წესების დაცვით გავიდეს საზოგადოების შემადგენლობიდან;

(2) საზოგადოების წევრი მოვალეა:

ა) დაიცვას წესდება, განახორციელოს საზოგადოების სამოქმედო პრინციპები, პროპაგანდა გაუწიოს საზოგადოების მიზნებს, უზრუნველყოს საზოგადოების მიერ დასახულ ღონისძიებათა განხორციელება;

ბ) დროულად გადაიხადოს სარეგისტრაციო და წლიური საწევრო გადასახადები, რომელთა ოდენობა დგინდება საზოგადოების გამგეობის მიერ, და რომელსაც ამტკიცებს საზოგადოების საერთო კრება ინდივიდუალური და კოლექტიური წევრებისათვის ცალ-ცალკე;

გ) შესაძლებლობისა და ინტერესების შესაბამისად მონაწილეობდეს საზოგადოების საქმიანობაში;

დ) დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალურობა;

ე) აქტიურად შეუწყოს ხელი საზოგადოების წინაშე მდგარი მიზნების განხორციელებას;

ვ) გაუფრთხილდეს საზოგადოების ქონებას;

ზ) პროპაგანდა გაუწიოს საზოგადოების მიზნებსა და ამოცანებს;

(3) საზოგადოების წევრს ეკრძალება გამგეობის მიერ მინიჭებული რწმუნების გარეშე იმოქმედოს საზოგადოების სახელით.

(4) წევრის მიერ წინამდებარე წესდებით დაკისრებული მოვალეობების შეუსრულებლობა გამოიწვევს წესდების 4 (14) პუნქტით გათვალისწინებულ სამართლებრივ შედეგებს.

§6. საზოგადოების მართვის ორგანოები

საზოგადოების ორგანოებია:

(1) საერთო კრება (§7)

(2) გამგეობა (§ 10)

(3) პროექტების და პროგრამების დირექტორები (კოორდინატორები)

§7. საერთო კრება

ა) საზოგადოების საერთო კრება (შემდგომში – საერთო კრება) წარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს, რომელიც მოიწვევა გამგეობის მიერ წელიწადში ერთხელ მაინც, ან როდესაც ამას საზოგადოების ინტერესები მოითხოვს;

ბ) წევრთა მეათედის წერილობითი მოთხოვნით, აგრეთვე წესდებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში შეიძლება მოწვეულ იქნას საზოგადოების რიგგარეშე (საგანგებო) კრება დღის წესრიგის მითითებით.

გ) საერთო კრება გაიმართება საზოგადოების ადგილსამყოფელში, თუ მომწვევის მიერ სხვა ადგილი არ იქნება განსაზღვრული.

დ) საერთო კრების მოწვევის შესახებ საზოგადოების წევრებს უნდა ეცნობოთ წერილობით ჩატარებამდე 2 კვირით ადრე მაინც. შეტყობინებაში აღინიშნება კრების ჩატარების ადგილი, დრო და დღის წესრიგი. იმ შემთხვევაში, თუ კრების მიერ განხილულ უნდა იქნას საზოგადოების გაუქმების საკითხი, კრების მოწვევის შესახებ საზოგადოების წევრებს უნდა ეცნობოთ 30 (ოცდაათი) დღით ადრე მაინც. შეტყობინება შეიძლება გაიგზავნოს წერილობით, ფაქსით ან ელფოსტით.

§8. საერთო კრების ჩატარება

(1) საერთო კრება წარიმართება საზოგადოების თავმჯდომარის (გამგეობის თავმჯდომარის) მიერ. მის მიერ ამ უფლების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში, საერთო კრებას წარმართავს საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე.

(2) საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. დასაშვებია საზოგადოების წევრის მიერ საერთო კრებაში წერილობითი მონაწილეობა.

(3) იმ შემთხვევაში, თუ საერთო კრება აღმოჩნდება გადაწყვეტილებაუუნარო, იგი მოიწვევა განმეორებით შვიდი დღის შემდეგ იმავე წესითა და დღის წესრიგით და აღნიშვნით, რომ კრება განმეორებითია. განმეორებით მოწვეული საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია მაშინაც, თუ არ გამოცხადდება წევრთა უმრავლესობა.

(4) საზოგადოების ყველა წევრს კენჭისყრისას აქვს თითო ხმა. დასაშვებია ხმის უფლების გადაცემა სხვა წევრისათვის წერილობითი მინდობილობის საფუძველზე.

(5) საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს ფარული კენჭისყრით.

(6) საერთო კრება გადაწყვეტილებებს იღებს კენჭისყრაში მონაწილე წევრების ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყბეტი ხმა ენიჭება გამგეობის თავმჯდომარეს.

(7) გადაწყვეტილება წესდების შეცვლის თაობაზე მიიღება დამსწრე წევრთა ხმების 2/3-ის უმრავლესობით. საზოგადოების მიზნის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილება საჭიროებს ყველა წევრის ხმათა 4/5-ს. საზოგადოების გაუქმების ან გარდაქმნის, აგრეთვე გამგეობის ან მისი ცალკეული წევრის არჩევის ან გაწვევის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ხმების 3/4.

(8) საერთო კრების გადაწყვეტილება ნამდვილია, თუ ის საკითხი, რაზედაც გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული, შეტანილია საერთო კრების დღის წესრიგში. საკითხი, რომელიც არ იყო წინასწარ შეტანილი დღის წესრიგში, კრებაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტის მოთხოვნით შეიძლება იქნას შეტანილი დღის წესრიგის პუნქტში "სხვადასხვა".

(9) საერთო კრების ჩატარების დროს მზადდება ოქმი, რომელშიც მიეთითება კრების ჩატარების ადგილი, დრო, დამსწრეთა რაოდენობა, დღის წესრიგი, განხილული საკითხების არსებითი შინაარსი და გადაწყვეტილებები. ოქმს ხელს აწერენ საზოგადოების კრების თავმჯდომარე და მდივანი.

§9. საერთო კრების კომპეტენცია

საერთო კრების კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) საზოგადოების წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ან წესდების ახალი რედაქციის დამტკიცება;

ბ) საზოგადოების მიზნის შეცვლა;

გ) გამგეობის არჩევა;

დ) გამგეობის ანგარიშების დამტკიცება;

ე) საზოგადოების წლიური ბიუჯეტის დამტკიცება;

ვ) საწევრო შესატანის ოდენობის განსაზღვრა;

ზ) საზოგადოების გაუქმებისა და გარდაქმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;

თ) კანონისა და წესდების თანახმად სხვა საკითხების გადაჭრა;

ი) საზოგადოების ძირითადი მიმართულებების, წლიური შედეგების, საზოგადოების ანგარიშების დამტკიცება;

კ) წევრის გარიცხვა საზოგადოებიდან.

§10. საზოგადოების გამგეობა

(1) საზოგადოების გამგეობა (შემდგომში - გამგეობა) წარმოადგენს საზოგადოების უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოს საერთო კრებებს შორის პერიოდში.

(2) პირველი ვადით გამგეობის წევრების ფუნქციას ასრულებენ დამფუძნებლები.

(3) გამგეობის წევრთა რაოდენობა განისაზღვრება 3-5 ადამიანით.

(4) გამგეობა აირჩევა საერთო კრების მიერ 5 წლის ვადით. იმ შემთხვევაში, თუ ამ ვადის გასვლამდე რაიმე მიზეზით შეწყდება გამგეობის რომელიმე წევრის უფლებამოსილება, გამგეობის ახალ წევრს ნიშნავს თვით გამგეობა საერთო კრების შემდგომი დამტკიცებით. იმ შემთხვევაში, თუ უფლებამოსილება შეუწყდა ორზე მეტ წევრს, უნდა იქნას მოწვეული რიგგარეშე საერთო კრება.

(5) გამგეობის წევრად შეიძლება არჩეულ იქნას ის პირი, რომელიც არ ესწრება საერთო კრებას, თუ კრებაზე წარმოდგენილი იქნება მისი წინასწარი თანხმობა გამგეობის წევრად არჩევის თაობაზე.

(6) გამგეობის წევრი შეიძლება ვადამდე იქნას გამოწვეული გამგეობიდან საერთო კრების დამსწრე წევრთა არანაკლებ 2/3-ის გადაწყვეტილებით.

(7) გამგეობამ უნდა წარუდგინოს ანგარიში საერთო კრებას საზოგადოების ქონების მდგომარეობის თაობაზე.

(8) გამგეობა ვალდებულია დაიცვას და გაუფრთხილდეს საზოგადოების ქონებას.

(9) გამგეობის წევრები თავიანთ უფლებამოსილებას, როგორც წესი, ახორციელებენ ანაზღაურების გარეშე. გამონაკლის შემთხვევაში მათი საქმიანობა შეიძლება ანაზღაურებულ იქნას მხოლოდ საერთო კრების გადაწყვეტილებით.

(10) გამგეობა უფლებამოსილია შეცვალოს საზოგადოების წესდება გამგეობის სხდომის ოქმის საფუძველზე, შეცვლილ წესდებას ამტკიცებს საერთო კრება

(11) გამგეობის წევრებად **ხუთი** წლის ვადით არჩეულ იქნენ:

- **არჩილ ბეგიაშვილი** (დაბადებული 03.02.1958, მცხოვრები თბილისი, ა. შანიძის 22, პ№01017020301);
- **ნათია ბადრიშვილი** (დაბადებული 06.06.1975წ., მცხოვრები ქ. თბილისში, დიდუბის 22, პ№01007004764);
- **ქეთევან აბდუშელიშვილი** (დაბადებული 06.06.1965წ., მცხოვრები ქ. თბილისი, ი. ხვიჩიას ქ. 16, პ№01024024954);
- **მარიამ ფანჯიკიძე** (დაბადებული 08.05.1982, მცხოვრები ქ. თბილისში, გ. ბრწყინვალეს ქ. 13, ბ.40; პ№01025010364);
- **ნატა მეფარიშვილი** (დაბადებული 20.08.1973, მცხოვრები ქ. თბილისში, ინგოროყვას 19, პ№01011024766)

§11. გამგეობის სხდომა

(1) გამგეობის სხდომას იწვევს გამგეობის თავმჯდომარე (საზოგადოების თავმჯდომარე), ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე.

(2) გამგეობის სხდომა მოწვეული უნდა იქნას არანაკლებ ექვს თვეში ერთხელ. რიგგარეშე სხდომა შეიძლება მოწვეულ იქნას გამგეობის თავმჯდომარის, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს მიერ, აგრეთვე გამგეობის წევრთა 1/4-ის წერილობითი განცხადების საფუძველზე.

(3) გამგეობის სხდომის ჩატარებისა და დღის წესრიგის შესახებ გამგეობის წევრებს უნდა ეცნობოთ გამგეობის სხდომის ჩატარებამდე სამი დღით ადრე მაინც. გამგეობის მოწვევისას გამოიყენება წინამდებარე წესდების §7 (დ) პუნქტით დადგენილი პროცედურა.

(4) გამგეობა გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. თუ რომელიმე წევრი ვერ ესწრება სხდომას, მას შეუძლია მისცეს ხმა გადასაწყვეტ საკითხს წერილობით, ან გადასცეს ხმის უფლება მინდობლობით გამგეობის სხვა წევრს. დაუსწრებლად კენჭისყრაში მონაწილეობისა და საკუთარი მოსაზრების შესახებ, გამგეობის წევრმა უნდა აცნობოს გამგეობას სხდომის ჩატარებამდე ერთი დღით ადრე მაინც.

(5) გადაწყვეტილების მიღებისას გამგეობის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა. გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. ხმათა თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია გამგეობის თავმჯდომარის, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – გამგეობის თავმჯდომარის მოადგილეს ხმა.

(6) გამგეობის სხდომის დროს დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერს გამგეობის თავმჯდომარე (საზოგადოების თავმჯდომარე), ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი.

§12 გამგეობის კომპეტენცია

(1) საზოგადოების ინდივიდუალური და კოლექტიური წევრების მიღება.

(2) სტრუქტურის, გასავლების, ხარჯთაღრიცხვის, თანამდებობის პირთა ხელფასების ოდენობის დამტკიცება.

(3) საზოგადოების წევრთა საერთო კრებების მოწვევა და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციული საკითხების მომზადება.

(4) განსაკუთრებულ გარემოებათა არსებობისას ახორციელებს საზოგადოების ლიკვიდაციას.

§13. ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა

(1) საზოგადოების ხელმძღვანელობას და წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებს გამგეობის თავმჯდომარე (საზოგადოების თავმჯდომარე), ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში, საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილე.

(2) საზოგადოების თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს საზოგადოების მიმდინარე საქმიანობას;

ბ) დებს ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს;

გ) წარმართავს საზოგადოების საქმიანობას საწესდებო მიზნების მისაღწევად;

დ) ხელს აწერს საზოგადოების ოფიციალურ, მათ შორის, საფინანსო დოკუმენტებს;

ე) ახორციელებს საზოგადოების ფინანსური სახსრებისა და სხვა ქონების ოპერატიულ მართვას და პასუხისმგებელია მათ სწორ გამოყენებაზე;

ვ) ახორციელებს ადამიანური რესურსების მართვას;

ზ) პასუხისმგებელია საზოგადოების ორგანიზაციული დონისა და მისი წევრების კვალიფიკაციის ამაღლებაზე;

თ) პასუხისმგებელია საზოგადოების ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებაზე.

(3) საზოგადოების თავმჯდომარე საზოგადოების საქმეებს უნდა წარუძღვეს კეთილსინდისიერად. იმ შემთხვევაში, თუ ის არ შეასრულებს თავის მოვალეობებს, საზოგადოების წინაშე პასუხს აგებს წარმოშობილი ზიანისთვის.

(4) საზოგადოების თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია გამგეობის წინაშე. 6 თვეში ერთხელ საზოგადოების თავმჯდომარე გამგეობას წარუდგენს ანგარიშს საზოგადოების საქმიანობისა და მიმდინარე პროექტების შესახებ.

(5) საზოგადოების თავმჯდომარეს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მის მიერ წესდებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობის, უფლებების გადამე-

ტების ან საზოგადოების საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო საქციელისათვის შეუძლია მხოლოდ საგანგებო საერთო კრებას.

(6) საზოგადოების თავმჯდომარესთან იქმნება სათათბირო ორგანო – დირექტორთა საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან პროგრამის (პროექტის) დირექტორები (კოორდინატორები). დირექტორთა საბჭოს სხდომა იმართება საჭიროებისამებრ საზოგადოების თავმჯდომარეს გადაწყვეტილებით.

(7) საზოგადოების თავმჯდომარე აირჩევა გამგეობის მიერ 5 წლის ვადით.

ა) საზოგადოების თავმჯდომარე მოქმედებს საზოგადოების სახელით მინდობილობის გარეშე და წარმოადგენს მას ყველა დონეზე ქვეყნის შიგნით და საზღვარგარეთ;

ბ) ორგანიზაციას უწევს გამგეობის მუშაობას, ანაწილებს ფუნქციებს გამგეობის წევრებს შორის;

გ) იწვევს და ატარებს საზოგადოების გამგეობის სხდომებს, საზოგადოების სახელით დებს ხელშეკრულებებს, იძენს და განკარგავს საზოგადოების ქონებას.

(8) საზოგადოების თავმჯდომარე, სხვა ხელმძღვანელობით საქმიანობასთან ერთად, უზრუნველყოფს საზოგადოების ავტორიტეტის ამაღლებას.

(9) საზოგადოების თავმჯდომარე წარმართავს გამგეობის საქმიანობას.

(10) საზოგადოების თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მისი უფლებების დელეგირება ხდება საზოგადოების თავმჯდომარის მოადგილეზე, რომელსაც საზოგადოების თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს გამგეობა.

გამგეობის თავმჯდომარედ (საზოგადოების თავმჯდომარედ) **ხუთი** წლით არჩეულ იქნეს ქ-ნი **ნათია ბადრიშვილი** (დაბადებული 06.06.1975წ., მცხოვრები ქ. თბილისში, დიდუბის 22, პ№01007004764);

§ 15 პროექტების, პროგრამების დირექტორები (კოორდინატორები)

(1) პროექტის (პროგრამის) დირექტორი ანხორციელებს პროექტით (პროგრამით) გათვალისწინებულ საქმიანობას.

(2) პროექტის (პროგრამის) დირექტორი განკარგავს პროექტის (პროგრამის) ბიუჯეტს.

(3) ანგარიშვალდებულია საზოგადოების გამგეობის და გამგეობის თავმჯდომარის წინაშე.

(4) პროექტის (პროგრამის) ქონება საზოგადოების კუთვნილებაა.

§16. საზოგადოების ქონება

(1) საზოგადოების ქონებას შეადგენს ძირითადი ფონდები, საბრუნავი საშუალებები და სხვა ფასეულობები, რომლებიც ასახულია საზოგადოების დამოუკიდებელ ბალანსში და საჭიროა წესდებით გათვალისწინებული საქმიანობის მატერიალური უზრუნველყოფისათვის.

(2) საზოგადოების ქონება წარმოიქმნება:

ა) საზოგადოების წევრთა საწევრო შესატანებიდან;

ბ) დაფუძნებული საზოგადოებებიდან მიღებული დივიდენდებიდან;

გ) სხვა საზოგადოებებისა და მოქალაქეების შემოწირულობებისგან;

დ) გრანტებითა და სხვადასხვა სუბსიდიებით, ლექციების, გამოფენების და სხვა ღონისძიებების მოწყობით;

ე) სხვა წყაროებიდან, რომლებიც აკრძალული არ არის მოქმედი კანონმდებლობით

(3) საზოგადოებას უფლება აქვს უცხოეთიდან მიიღოს ფულადი სახსრები და სხვა ქონება თავისი წესდებით დადგენილი მიზნებისა და ამოცანების შესასრულებლად, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

(4) საზოგადოების ქონება გამოიყენება მხოლოდ საწესდებო მიზნებისათვის.

(5) საზოგადოების წევრები არ იღებენ არავითარ წილს საზოგადოების ქონებიდან. მიღებული მოგება მოხმარდება საზოგადოების მიზნებს.

(6) საზოგადოების გამგეობამ მიღებული შემოსავლებიდან შეიძლება შექმნას სარეზერვო, საქველმოქმედო და სხვა ფონდები.

(7) საზოგადოება უფლებამოსილია მოქმედი კანონით განსაზღვრული წესით წარმართოს საწარმოო – სამეურნეო საქმიანობა და საწესდებო ამოცანების შესრულების

მიზნით შექმნას იურიდიული პირის უფლებების მქონე საწარმოები, რომლებიც ატარებენ დამხმარე ხასიათს და არ ცვლის არაკომერციული იურიდიული პირის პროფილს. ასეთი საქმიანობიდან მიღებული მოგების განაწილება საზოგადოების წევრებს შორის არ დაიშვება.

§17. საზოგადოების ხანგრძლივობა

საზოგადოება შექმნილია და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

§18. საზოგადოების რეორგანიზაცია და გაუქმება (ლიკვიდაცია)

(1) საზოგადოების რეორგანიზაცია (მიერთება, შეერთება, გაყოფა, გამოყოფა, გარდაქმნა) ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

(2) საზოგადოების გაუქმება ხდება შემდეგ შემთხვევაში:

ა) გაკოტრებისას ან რეგისტრაციის გაუქმებისას;

ბ) თუ საზოგადოება არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე;

გ) საერთო კრების გადაწყვეტილებით;

დ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

(3) საზოგადოებიდან რომელიმე წევრის გასვლა არ გამოიწვევს საზოგადოების გაუქმებას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ წევრის გასვლა გამოიწვევს კანონით განსაზღვრული აუცილებელი რაოდენობის შემცირებას. ასეთ შემთხვევაში საზოგადოების წევრის გასვლის ძალაში შესვლამდე მიღებულ უნდა იქნეს ახალი წევრი.

(4) საზოგადოების ლიკვიდაციას ახორციელებს გამგეობა. ლიკვიდაციის განხორციელება შეიძლება დაევალოს გამგეობის ერთ ან რამდენიმე წევრს.

(5) საზოგადოების ქონების ლიკვიდაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

(6) საზოგადოების ქონების ლიკვიდაციის დამთავრების შემდეგ დარჩენილი ქონება გადაეცემა იმავე ან მსგავსი მიზნების მქონე არაკომერციულ ორგანიზაციას, რომლის შესახებაც გადაწყვეტილებას გამოიტანს საზოგადოების საერთო კრება.

§19. დავების გადაწყვეტა

(1) საზოგადოების წევრებს, ასევე საზოგადოებასა და მის წევრებს შორის წარმოქმნილი დავა გადაწყდება ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას გადაწყვეტს სასამართლო.

(2) საზოგადოებასა და მესამე პირებს შორის წარმოშობილი დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

§20. დასკვნითი დებულებები

(1) წინამდებარე წესდების რომელიმე დებულების ბათილობა არ გამოიწვევს მთელი წესდების ბათილობას. იგივე წესი მოქმედებს, როდესაც წესდებაში რაიმე ხარვეზი იქნება დადგენილი.

(2) ბათილი დებულების ნაცვლად ან ხარვეზის შესავსებად შეთავაზებულ უნდა იქნას შესაბამისი დებულება, რომელიც უფრო ახლოა საზოგადოების წევრების ნებასთან, აგრეთვე შეესაბამება წესდების არსსა და მიზანს.

(3) წესდება ძალაში შედის სასამართლოში რეგისტრაციის დღიდან.

დამფუძნებელთა ხელმოწერები:

არჩილ ბეგიაშვილი _____

ნათია ბადრიშვილი _____

ქეთევან აბდუშელიშვილი _____